პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 238 (4232)

1970 წ. 5 დეკემბერი

ორშაბათი

ფასი 4 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს

გ. იაშვილის ნახატი.



გუშინწინ, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაუთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი თბილისში. თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდები „დინამო“ და „ბურევესტნიკი“.

სურათზე: მომენტი განვლილი ბრძოლიდან.

მ. ზარგარიანის ფოტო.

(მატჩის ანგარიში იხ. მე-4 გვ.).

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● **მალმე, 8 დეკემბერი.** აქ სტუმრად მყოფი სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრები გუნდი შეხვდა შვეიცის მეორე ნაკრებს. მატჩის შედეგია ფრე — 3:3.

● **ამსტერდამი, 3 დეკემბერი.** ჰოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრებმა საკუთარ მოედანზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა რუმინეთის ეროვნული გუნდი.

● **პრაღა, 3 დეკემბერი.** ჩეხოსლოვაკიაში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჰქონდა შვეიცის ჰოკეისტთა ეროვნულ გუნდს. ისინი შეხვდნენ ამ ქვეყნის ნაკრებს და დამარცხდნენ — 8:4.

● **მეხიკო, 3 დეკემბერი.** მექსიკისა და ავსტრალიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრაში იმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

● **ბუდაპეშტი, 8 დეკემბერი.** 78 მოკრივე მონაწილეობდა უნგრეთის ჩემპიონატში. პირველი ხელთათმნის ტიტული მოიხვეჭეს: დ. გედომ, გ. იუტკაუსმა, კ. ბადოჩიმ, ა. ნადმა, ლ. ვარგამ, ლ. კარლმა, ი. კაიდიმ, ნ. ბაკონიმ, პ. ნადმა, ი. ტოტმა და ლ. იუჰასმა.

● **ბატერსტი, 3 დეკემბერი.** გამბიაში სტუმრად მყოფმა როსტოვის არმიელ ფეხბურთელთა გუნდმა გამართა ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. მან ჯერ დაამარცხა ბატერსტის კლუბების ნაკრები — 4:3, ხოლო შემდეგ გამბიის ეროვნული გუნდი — 4:1.

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲑᲝᲚᲘ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სპორტსმენებისა და მწვრთნელების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატებში ძალოსნობაში, ჭიდაობაში, წყალბურთში, ფარიკაობაში, საცხენოსნო სპორტში მოპოვებული წარმატებებისა და განსაკუთრებული სპორტული მიღწევებისთვის დაჯილდოვდნენ:

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

1. ბორუსოვა ზ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (მოსკოვი).
2. პეტუშკოვა ე. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (მოსკოვი).
3. ტალტსი ი. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (ტალინი).

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

1. ალექსეევი ვ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (შახტი, როსტოვის ოლქი).
2. გულიუტკინი ვ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (კიევი).
3. ივანჩენკო ზ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (რიგა).
4. კალიტა ი. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (მოსკოვი).
5. კოლოტოვი ვ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (პერვოურალსკი, სვერდლოვსკის ოლქი).
6. პოსტენკო კ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (ბარნაული).
7. მანაენკო ი. — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი (მოსკოვი).
8. მედვედევი ა. — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი (მოსკოვი).
9. ოსიპოვი ლ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (მოსკოვი).
10. ჯსარევი ვ. — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი (ალმა-ათა).
11. რეზანცევი ვ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (ალმა-ათა).
12. სემიონოვი ვ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (მოსკოვი).
13. შახმურადოვი ი. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (მახაჩყალა).
14. ცარიოვი ვ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (იაროსლავლი).

მედლით „ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

1. ბეზრუკოვა ლ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (ლენინგრადი).
2. ნაზარენკო ა. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (ალმა-ათა).
3. სედაშევი ა. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (ლენინგრადი).
4. სტეფენკო ი. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (კიევი).
5. ფრაიფელდი მ. — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი (რიგა).
6. შიმანსკაია თ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (მინსკი).

მედლით „ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

1. იარდი ვ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (ჩებოქსარი).
2. კაპიტონოვი ვ. — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი (მოსკოვი).
3. ლიხაჩოვი ვ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (გორკი).
4. სოკოლოვი ვ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (ომსკი).
5. შუხოვი ბ. — სპორტის დამსახურებული ოსტატი (ნალჩიკი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

1970 წლის 2 დეკემბერი.
მოსკოვი, კრემლი.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა გამოაცხადა საქალაქო კონკურსი მრავალსვლიანი საჭადრაკო ამოცანების შედგენაში — „საიუბილეო-50“, რომელიც ქართველი ხალხის დიდ დღესასწაულს — საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს ეძღვნება.

„ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეს ბ. შარაშიძეს.

— ჩვენი კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საჭადრაკო კომპოზიციის მომზიდველი სახეობის — ამოცანების შედგენის პოპულარობას. დასამალი როდია, ამ დარგში საგრძნობლად ჩამოვრჩით. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი კონკურსი ცნობილ პრობლემისტებს და ახალბედებსაც მიიზიდავს, — თქვა გ. შარაშიძემ.

შემდეგ მან კონკურსის პირობებზე ილაპარაკა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ყველას, ვინც ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ცხოვრობს. მრავალსვლიანი ამოცანები (ოთხ და მეტ სვლაში შამათი რომ ცხადდება), სპეციალისტების აზრით, პრობლემისტს შემოქმედებითი ფანტაზიის გაშლისთვის დიდ სარბიელს აძლევს. ეს ამოცანები ადვილი შესადგენი როდია. ამიტომ თითოეული ავტორისგან საკონკურსოდ ამოცანები ნებისმიერი რაოდენობით მიიღება. მაგრამ ყოველი ამოცანა აუცილებლად დიაგრამაზე უნდა იყოს დახატული. მას უნდა დაერთოს ავტორისეული ამოხსნა, აგრეთვე, შემდგენლის გვარი, სახელი, მამის სახელი და ბინის მისამართი.

— კონკურსში გამარჯვებულთათვის, — თქვა გ. შარაშიძემ, — დაწესებულია ხუთი ფასიანი საჩუქარი, ამდენივე საპატიო და საქები შეფასება. გამარჯვებულთა ვინაობის დასადგენად შევადგინეთ ჟიური რ. თავარიანის, თ. გიორგაძისა და ა. ჯაკობიას შემადგენლობით.

მასალების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1971 წლის 10 თებერვალი. შედეგები გამოქვეყნდება გაზეთ „ლელოში“ იმავე წლის თებერვლის დამლევს. წერილები გამოგზავნეთ მისამართით: თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 6, თბილისის ფიზკულტურის კომიტეტი, კონვერტზე წარწერით — „საჭადრაკო კონკურსისთვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი

სპარტაკიადებისთვის მზადება

უხვი მოსავალი



დამთავრდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადა, რომელიც საბჭოთა საქართველოსა და რუსპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა. ეს ღონისძიება იყო სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა „განთიადის“ მომსახურებაში შემავალი საწარმო-დაწესებულებების მშრომელთა ფიზკულტურასა და სპორტში მიზიდვის საქმეში, სპორტსმენთა ტექნიკის სრულყოფაში, ფიზკულტურისადმი პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების, მათი დარგობრივი საბჭოების ხელმძღვანელი როლის ამაღლებაში, ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტკლუბების მიერ გაწეული მუშაობის შემოწმებაში.

სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებს წინ უძღოდა კოლექტივების, შემდეგ კი პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტების სპარტაკიადები, რომლებშიც 700 კოლექტივის 18 ათასამდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა.

ფინალური სპარტაკიადის პროგრამის 12 სახეობიდან 6 სახეობაში შეჯიბრების შედეგებს უკვე ვიტყობინებოდით. ახლა გავეცნოთ, როგორ დამთავრდა ტურნირები ფრენბურთში, ფარიკაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, თავისუფალ ჭიდაობაში, ჭადრაკში, ძალოსნობაში.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობა გორში ჩატარდა. გამარჯვებისთვის იბრძოდა 9 გუნდის 78 სპორტსმენი, რომელთა შორის 20 სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი იყო. ამ შეჯიბრების ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ გორის საფეიქრო კომბინატის თანამშრომელი ს. ქარქიშვილი, რომელმაც 74 კგ წონით კატეგორიის ათლეტებთან ექვსივე შეხვედრა წმინდად მოიგო და ჩემპიონობა დაისაკუთრა. 82 კგ წონით კატეგორიაში წარმატება ხვდა დ. თედეევს (ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის პროფკავშირი). მან 6 შეხვედრაში 5 მეტოქე ბეჭებით გააკრა ხალიჩას, მეექვსეს კი აშკარა უპირატესობით სძლია.

მოჭიდავეთა მომზადების დონე უთანაბრო იყო. თუ საფეიქრო, ხე-ტყის მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის პროფკავშირების ნაკრები კოლექტივები კარგად მომზადებული სპორტსმენებით ასპარეზობდნენ, ამას ვერ ვიტყვით ელექტრომრეწველობისა და სპორტკლუბ „განთიადის“ მოჭიდავეებზე. მოუმზადებელი სპორტსმენები ზოგიერთმა სხვა გუნდმაც გამოიყვანა, რის გამოც ხშირი იყო წმინდა მოგება, ტრავმები. სულ გამართული 114 შეხვედრიდან 77 წმინდა მოგებით, ხოლო 26 აშკარა უპირატესობით დამთავრდა, 11 სპორტსმენი დაშავდა. ყველაზე მეტი (13) წმინდა მოგება 82 კგ წონით კატეგორიაში აღინიშნა.

ყველა წონით კატეგორიაში იყო სარეკორდო შეხვედრები. მაგალითად, 48 კგ კატეგორიაში პირველთანრიგოსანმა ვ. ლუსმანაშვილმა (მშენებლობის კავშირი) 2 წუთსა და 5 წამში წააქცია პირველთანრიგოსანი ი. მიჩიჩაშვილი (მეტალურგი), 52 კგ წონის სპორტის ოსტატს დ. ბეტაევს (მსუბუქი მრეწველობა) 1.10 დასჭირდა, რათა ბეჭებზე დაეწვინა პირველთანრიგოსანი ნ. ჭილაძე (ელექტრომრეწველობა), 57 კგ კატეგორიაში ოსტატობის კანდიდატმა ე. პავლიაშვილმა (მსუბუქი მრეწველობა) პირველთანრიგოსანი ვ. ლუხაშვილის („განთიადი“) დამარცხებას 2.10 წუთი მოანდომა, 62 კგ წონის ოსტატობის კანდიდატმა ს. სულთანიშვილმა (მსუბუქი მრეწველობა) პირველთანრიგოსანი ბ. პაპუნაშვილი (ნავთობისა და ქიმიური მრეწველობა) 30 წამში გააკრა ხალიჩას. 68 კგ წონაში ოსტატობის კანდიდატს გ. ჯანდიერს (ქიმიური მრეწველობა), პირველთანრიგოსან გ. გვასალიას (ქვანახშირის მრეწველობა), 74 კგ კატეგორიის პირველთანრიგოსან რ. ჯღამაძეს (ქვანახშირის მრეწველობა) პირველთანრიგოსან ზ. შუქვანის („განთიადი“), მძიმე წონის ათლეტ ს. უგულავას (მანქანათმშენებლობის მრეწველობა) და პირველთანრიგოსან გ. დევაძის (ელექტრომრეწველობა) დამარცხებისთვის წუთზე ნაკლები დრო დასჭირდათ. მაგრამ ჩემპიონატის ერთპიროვნული რეკორდსმენი მაინც ვერ გამოვლინდა. ეს წოდება გაინაწილა სამმა მოჭიდავემ ნ. გაგიევმა, მ. მიხანაშვილმა (ორივე — მსუბუქი მრეწველობა) და გ. ვეფხვაძემ (ხე-ტყის მრეწველობა), რომლებმაც თავიანთი მეტოქეები — თ. ხაჩიძე („განთიადი“), ა. ლიევენცევი (ქვანახშირის მრეწველობა) და მ. დვალაძე (მანქანათმშენებლობა) 15-15 წამში დაამარცხეს.

გაგაცნობთ პრიზიორებს: 48 კგ. გ. ბოლოთაშვილი (საფეიქრო მრეწველობა), ლუსმანაშვილი, ე. მანაგაძე (მანქანათმშენებლობა); 52 კგ. ბეტაევი, ა. ბოგატოვი (ქვანახშირის მრეწველობა), ვ. ნარიკაევი (მშენებლობა); 57 კგ. დ. ლომიძე (მანქანათმშენებლობა), ო. ქელეხსაშვილი (ხე-ტყის მრეწველობა), პავლიაშვილი; 62 კგ. სულთანიშვილი, ვ. ინასარიძე (ხე-ტყის მრეწველობა), ს. ლოლაძე (მეტალურგიული მრეწველობა); 68 კგ. შ. ხაბალაშვილი (საფეიქრო მრეწველობა), ჯანდიერი, ტ. ჯანანაშვილი (მშენებლობა); 74 კგ. ქარქიშვილი, შ. მაისურაძე (ქიმიური მრეწველობა), ვ. კვინიკაძე (ხე-ტყის მრეწველობა); 82 კგ. თედეევი, მ. ალეპოვი (მშენებლობა), გაგიევი; 90 კგ. ლ. თედიაშვილი (ხე-ტყის მრეწველობა), მისანაშვილი, გ. ლოლაშვილი (მეტალურგიული მრეწველობა); 100 კგ. ვ. მარშანია (ქვანახშირის მრეწველობა), ვეფხვაძე, თ. წეველიძე (საფეიქრო მრეწველობა); 100 კგ ზემით. ე. გოცირიძე (ხე-ტყის მრეწველობა), უგულავა, ნ. ბედოშვილი (საფეიქრო მრეწველობა).

როგორც ვხედავთ, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ნაკრების ყველა წევრმა სპრიზო ადგილი დაისაკუთრა და, ცხადია, გუნდური პირველობაც მათ დარჩათ— 19 საჯარიმო ქულა. II ადგილზეა ხე-ტყის მრეწველობის პროფკავშირის კოლექტივი (32), III — მანქანათმშენებლობის (44) პროფკავშირის გუნდი.

მოფარიკავენი რუსთავში ასპარეზობდნენ. შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, მაგრამ მთავარ მსაჯს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს რ. ფაჩულიას და მთავარ მდივანს ნ. ანდრიანოვას უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ოქმებს კარგად ვერ აწარმოებდნენ. მთავარ მსაჯს ანგარიშის დაწერაც კი დავიწყდა. სპრიზო ადგილები გუნდური შეჯიბრების ოქმებში სხვანაირადაა განაწილებული, ნაკრებ ცხრილში — სხვანაირად. მაგალითად, მოფარიკავე ქალთა შეჯიბრების ოქმის თანახმად პრიზიორები ასე განაწილდნენ: მსუბუქი მრეწველობა, ხე-ტყის მრეწველობა, მეტალურგიული მრეწველობა, ნაკრებ ცხრილში კი ხე-ტყის მრეწველობის გუნდის ადგილი რატომღაც მეტალურგებმა დაიკავეს. დაშნით ფარიკაობაში სპრიზო ადგილები ერთგან ასეა განაწილებული: „განთიადი“, მშენებლები, ელექტრომრეწველობა, მეორეგან ასე: მეტალურგები, „განთიადი“, ელექტრომრეწველობა (?!). ყოველივე ამის გამო პრიზიორებს ვერ ვასახელებთ. „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოში დაგვისახელეს მხოლოდ საერთო გუნდურ ჩათვლაში საუკეთესონი — მსუბუქი მრეწველობის, მეტალურგიული მრეწველობისა და სპორტკლუბ „განთიადის“ კოლექტივები.

ქარხანა „პლასტმასის“ სპორტდარბაზი მასპინძლობდა ფრენბურთელებს, რომლებიც თავდაპირველად ორ ჯგუფად ასპარეზობდნენ. საფეიქრო მრეწველობის პროფკავშირის კოლექტივმა ქალთა I ჯგუფში ერთნაირი ანგარიშით (2:0) მოუგო მშენებლებს, ელექტრომრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ქვანახშირის მრეწველობის გუნდებს და ფინალში შეხვდა სპორტკლუბ „უშბას“, რომელმაც II ქვეჯგუფში მეტალურგები და ქიმიკოსები ერთნაირი ანგარიშით (2:1) დაამარცხა და ასეთივე ანგარიშით წაგო „განთიადთან“.

დებულებით I-II ადგილებისთვის მებრძოლ გუნდებს დავა სუთ პარტიაში უნდა გადაეწყვიტათ, მაგრამ ფეიქრებმა გამარჯვება უკვე სამ პარტიაში გაინაღდეს (15:6; 15:7; 15:8). III ადგილი ხვდათ მეტალურგებს, რომლებმაც დაამარცხეს ელექტრიკოსები — 2:1 (16:18; 15:12, 17:15).

ვაჟთა შორის საუკეთესონი აღმოჩნდნენ მეტალურგიული და ელექტრომრეწველობის კავშირების ნაკრები გუნდები. ფინალამდე მათ შესაბამისად დაამარცხეს ხე-ტყის მრეწველობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა „განთიადის“, ქვანახშირისა და საფეიქრო მრეწველობის, „უშბის“, მანქანათმშენებლობისა და ქიმიკოსების ფრენბურთელები. ფინალი ელექტრომრეწველობის კოლექტივმა მოიგო — 3:1 (15:10; 10:15; 16:14; 15:11). III ადგილისთვის ბრძოლაში მშენებლებმა ფეიქრებს სძლიეს 2:1.

ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა საფეიქრო მრეწველობის ქალთა კოლექტივმა, რომელსაც მთელ ტურნირში ერთი პარტიაც არ წაუგია. სუსტი გუნდებით გამოვიდნენ მშენებლებისა და მანქანათმშენებლების ქალთა და ხე-ტყის მრეწველობის ვაჟთა გუნდები.

პლასტმასელთა შესანიშნავი დარბაზი ტურნირისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ვ. არსიაშვილმა ანგარიშშიც კი ჩაწერა, რომ დარბაზში, გასახდელებში, საშხაპეში უსუფთაობა და უწესრიგობა იყო.

მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში, რომელიც „განთიადის“ დარბაზში ჩატარდა, 10 გუნდი ჩაება. ქვეჯგუფებში საფეიქრო და ელექტრომრეწველობის კოლექტივებმა იმარჯვეს. ამ გუნდების გადაწყვეტი შეხვედრა და პირველობა ფეიქრებმა მოიგეს.

დაძაბული გამოდგა მოჭადრაკეთა ტურნირი. ქვეჯგუფებში მეტალურგებმა და ფეიქრებმა 11,5-11,5 ქულა მოაგროვეს და ფინალში გავიდნენ. მანქანათმშენებლები და ელექტრომრეწველები მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და III-IV ადგილებისთვის ბრძოლის უფლება მიიღეს. საბოლოოდ სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ მეტალურგები, რომელთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჭადრაკის მეთოდისტი გ. ბიბილაშვილი, მილსაგლინავი საამქროს უფროსი ოსტატი ს. შეოლია, ინჟინერ-ტექნიკოსი ლ. კოროლკევიჩი და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტბიუროს მდივნის მოადგილე გ. თურქაძე. მანქანათმშენებლებმა III ადგილი დაისაკუთრეს.

ძალოსნების ასპარეზობა საყურადღებო არაფრით ყოფილა. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი 9 კოლექტივმა გამოთქვა, ბრძოლაში კი 8 ჩაება (ქიმიკოსებმა მხოლოდ ერთი ძალოსანი გამოიყვანეს). შედეგებიც დაბალი იყო — II თანრიგზე უკეთესი შედეგი არავის მოუპოვებია. ამიტომ მხოლოდ გამარჯვებულებს დავასახელებთ. ესენი არიან (წონითი კატეგორიის მიხედვით). 16 წლის ა. კელდიშვილი („განთიადი“), თ. კობიაშვილი (მეტალურგიული მრეწველობა), თ. კელდიშვილი, ვ. სიროვატკინი (ორივე — „განთიადი“), ვ. გრიბიცკი (მანქანათმშენებლობის მრეწველობა), ა. სარბაში (მეტალურგიული მრეწველობა), ნ. კოჟარა (ელექტრომრეწველობა), გ. იასუკევიჩი (მანქანათმშენებლობის მრეწველობა), ა. ხვედელიძე (საფეიქრო მრეწველობა).

გუნდურ ჩათვლაში 12 საჯარიმო ქულით გაიმარჯვეს მეტალურგებმა. II ადგილზეა „განთიადი“ — 16, III — ელსადგურებისა და ელექტრომრეწველობის კავშირის გუნდი — 25.

სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში 133 ქულით პირველობა და გარდმავალი თასი საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის (თამჯდომარე ე. ღვთაძე) ნაკრებმა დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდნენ მეტალურგიული მრეწველობის (დ. ცირეკიძე) — 121 ქულა, III ელსადგურებისა და ელექტრომრეწველობის (დ. ბაკურაძე) კოლექტივები — 99,5.

მომდევნო ადგილებზე არიან მანქანათმშენებლები (77,5), მშენებლობისა და საშენ მასალათა კავშირის (74,5), „განთიადის“ (71,5), ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის (54,5), „უშბის“ (52,5), ქვანახშირისა (40) და ხე-ტყის მრეწველობის (39) კავშირების გუნდები.

სპარტაკიადის ყველა ეტაპზე „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს 39 და საქართველოს 25 რეკორდი დამყარდა. 30 სპორტსმენმა სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა. სპარტაკიადამ ცხადყო მეტალურგ ხელბურთელ და ფრენბურთელ ვაჟთა, „უშბის“ კალათბურთელ ქალთა, ფეიქარ მოფარიკავეთა და მაგიდის ჩოგბურთელთა, ხე-ტყის მრეწველობის მოჭიდავეების ოსტატობის ზრდა. გამოვლინდნენ ნიჭიერი მოჭიდავეები, ვოლოსიპედისტები, ფრენბურთელები, მოფარიკავენი, მსროლელები...

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა სპარტაკიადის შედეგები. სიგელებით დაჯილდოვდა ჯგუფი აქტივისტებისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სპარტაკიადის მომზადებასა და ჩატარებაში. აღინიშნა ისიც, რომ შედეგები უფრო მაღალი იქნებოდა „უშბას“, „განთიადს“, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, ქვანახშირის მრეწველობის, ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა კავშირებს გუნდები უფრო კარგად რომ დაეკომპლექტებინათ. სპორტკლუბმა „განთიადმა“, რომელმაც ცენტრალური საბჭოს III სპარტაკიადაში II ადგილი დაიკავა, ახლა VI ადგილზე გადაინაცვლა.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მძლეოსნობისა და ძალოსნობის განვითარების დონე ისევ დაბალია.

ო. გელაშვილი.

ა. სილაევი: საჭიროა ვარჯიშის კარგი

რედაქციაში სასიხარულო ცნობა მოვიდა: ქ. ფოთში „ვოდნიკის“ ახალი ბაზა საზეიმოდ იხსნება და მაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში სსრ კავშირის პირადი პირველობა ტარდებაო.

ახალი ბაზა ლამაზი, ორსართულიანი ნაგებობაა. პირველ სართულზეა კეთილმოწყობილი ვრცელი, ნათელი სასადილო, გასახდელი, საშხაპე და ელინგი 100 ნავისთვის; მეორე სართულზე — სასტუმრო ორმოცი კაცისთვის; მწვრთნელთა და ექიმის ოთახები, მეთოდური კაბინეტი, კლუბი, რადიოკვანძი...

მშენებლობას ხუთ წელიწადს აწარმოებდა ფოთის № 1 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ვ. გუნია) № 11 ტრესტი (ო. გულუა). — გვიამბობს ბაზის დირექტორი გ. ჯაკობია, —მსაჯთა ჯისურის მოსაწყობად... თანხა აღარ დაგვრჩა. ჯერჯერობით არ მუშაობს საშხაპეები, საშრობი, რადიოკვანძი...

სწორედ ამ მიზეზთა გამო ბაზა საზეიმოდ არ გაიხსნა, მაგრამ შეჯიბრება მაინც გაიმართა. ტურნირი გახსნა და სპორტსმენებს წარმატება უსურვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საწყლოსნო სახეობების კათედრის გამგემ, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა კ. რევიამ. შემდეგ სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის ფიზკულტურის კომიტეტის ნიჩბოსნობის განყოფილების გამგე ი. ემელიანოვი. მან აღნიშნა, რომ წლეულს სსრ კავშირის უძლიერესი ნიჩბოსნები მეორე ასალ ბაზაზე პირველად ასპარეზობენ, რომ ფოთის ელინგი ერთ-ერთი საუკეთესოა კავშირში. ემელიანოვმა რწმენა გამოთქვა, რომ ახალი ბაზა ხელს შეუწყობს ფოთში და, საერთოდ, საქართველოში ნიჩბოსნობის შემდგომ აღმავლობას.

სტარტზე პირველნი 1000 მეტრზე ორადგილიანი მაიდარებით მოასპარეზე ვაჟები გამოვიდნენ. ბრძოლა დაძაბული იყო. ყველა ეკიპაჟმა ფინიშის ხაზი ერთიმეორის მიყოლებით გადაკვეთა. გაიმარჯვეს ყაზახეთის წარმომადგენლებმა ნ. გორბაჩოვმა და ვ. კლიმოვმა. მათ მხოლოდ რვა მეათედი წამით ჩამორჩა თბილისის „შრომითი რეზერვების“ ეკიპაჟი სპორტის ოსტატობის კანდიდატების ლ. ქოსაასა და ნ. პიატკოვის შემადგენლობით. თბილისელებმა პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი. ეს ნორმატივი პირველად შეასრულა ფოთის „ვოდნიკის“ წარმომადგენელმა პ. ზაბოლოტკიმაც, რომელიც თანაგუნდელ სპორტის ოსტატ ვ. კრატასიუკთან ერთად გამოდიოდა (3. 35,8). III ადგილიც მანვე დაისაკუთრა.

1000 მეტრზე ორადგილიანი კანოებით შეჯიბრებაში გამარჯვება სტუმრებს — მ. ლობანოვსა და ვ. პანკოვს (ტაჯიკეთი) დარჩათ — 3.56,4. II ადგილზე გავიდნენ თბილისის „ბურევესტნიკის“ ნიჩბოსნები — სპორტის ოსტატი ვ. მაკაროვი და ოსტატობის კანდიდატი ვ. სირია —3.59,0, III — მასპინძლები — სპორტის ოსტატობის კანდიდატები ზ. ხოფერია და ნ. ჩარაევი — 3.59,9.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲐᲚᲠᲔᲡᲐᲓ ᲓᲐᲫᲐᲒᲣᲚᲐᲓ...

პალმა დე მალიორკის საზონათშორისო ტურნირი. მდგომარეობა 18 ტურის შემდეგ: რ. ფიშერი (აშშ) — 12 ქულა, 1 გადადებული და 1 გამოტოვებული პარტია, ე. გელერი (სსრ კავშირი) — 11 ქულა და 1 გადადებული პარტია, ვ. ულმანი (გდრ) — 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 10,5-10,5 ქულა, ე. მეკინგი (ბრაზილია), მ. ტაიმანოვი (სსრ კავშირი) — 10-10 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია, ლ. პორტიში (უნგრეთი) — 10 ქულა და 1 გადადებული პარტია, ბ. ლარსენი (დანია), რ. ჰიუბნერი (გფრ) — 9,5-9,5 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია, ო. პანო (არგენტინა) — 9,5 ქულა, ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი) — 9 ქულა და 1 გადადებული პარტია, ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 9.

ჰორიზონტზე ფიშერის გამოჩენამ თამაში უალრესად დაძაბა. XVII ტურში ფიშერმა სძლია უ. რუბინეტის (არგენტინა). პირველი გამარჯვება იზეიმა მ. ფილიპმა, რომელმაც ტ. უიტუმენს (მონღოლეთი) მოუგო. კვლავ წინ წავიდა ახალგაზრდა ჰიუბნერი, რომელსაც იუგოსლავიელი დ. მინიჩი დანებდა.

გლიგორიჩ — პოლუგაევსკის შეხვედრაში მწვავე შეტაკება ბოლოს დაზავებით დასრულდა. ასევე მოხდა პანო — პორტიშის შეხვედრაშიც. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, უ. ადისონ (აშშ) — გელერის და ჰორტ — ე. ხიმენესის (კუბა) პარტიები.

დაუმთავრებელი დარჩა სმისლოვ — ბ. ივკოვის (იუგოსლავია), ტ. სათლზ (კანადა) — ულმანის, ტაიმანოვ — მეკინგის, ს. რეშევსკი (აშშ) — ლარსენისა და მ. მატულოვიჩ (იუგოსლავია) — ს. ნარანიას (ფილიპინები) შეხვედრები.

XVIII ტურში ფიშერი შეხვდა პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ მეტოქეს ულმანს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი დიდოსტატი შავებით თამაშობდა, მან შეძლო უპირატესობის მოპოვება და გამოყენება. ამ მოგებით ფიშერმა ერთპიროვნული ლიდერობა განიმტკიცა.

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა პოლუგაევსკიმ, რომელმაც პანო დაამარცხა. აქტივში საჭირო ქულა ჩაიწერა მეკინგმაც — ნარანიას მოუგო.

გელერ — გლიგორიჩის, ივკოვ — ადისონის, მინიჩ — სმისლოვის, უიტუმენ — ჰორტისა და რუბინეტ — ფილიპის შეხვედრებში მძაფრი ბრძოლა ყაიმით დამთავრდა.

გადაიდო ხიმენეს — ჰიუბნერის, ტაიმანოვ — სათლზის, პორტიშ — რეშევსკის და ლარსენ — მატულოვიჩის შეხვედრები.

XVIII ტურის დაწყებამდე წინა ტურების პარტიებში თამაშის განუახლებლად, გლიგორიჩი დანებდა პორტიშს, ხოლო რეშევსკი — მატულოვიჩი, ადისონ — პორტიში და სმისლოვ — ივკოვი ყაიმზე შეთანხმდნენ.

საზონათშორისო ტურნირი, როგორც იტყვიან, ფინიშის სწორზე გავიდა: სათამაშო დარჩა მხოლოდ ხუთი ტური. ამ პარტიების შედეგებზე საკმაოდ ბევრი რამაა დამოკიდებული.

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘ

სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 30-ე ჩემპიონატში, რომელიც ბელციში (მოლდავეთი) ტარდება, კიდევ სამი (VII, VIII, IX) ტური გათამაშდა. ლიდერები არიან ა. კუშნირი — 7,5 ქულა, ნ. კონოპლიოვა (ორივე — მოსკოვი) — 6,5, ლ. საუნინა (სვერდლოვსკი) — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტ. ლემაჩკო — (მოსკოვი) — 6.

კვლავ წარმატებით ითამაშა კუშნირმა, რომელმაც ს. როოტარესთან (ტალინი) ყაიმის შემდეგ მოუგო მ. სამულსა (ტალინი) და ლ. სტარჩენკოს (ალმა-ათა). კონოპლიოვამაც მოიგო ზედიზედ ორი შეხვედრა — სტარჩენკოსთან და თ. ზაიცევასთან, მაგრამ მ. რანიკუსგან (ტალინი) პირველი მარცხი იწვნია. სხვათა შორის, კონოპლიოვას ბედი გაიზიარეს ზაიცევამ და ბელავენეცმა.

სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა ლემაჩკომ, რომელმაც სძლია ჟ. ბორისენკოს (ტაშკენტი) და რუსეთის ფედერაციის ჩემპიონს ვ. უშაკოვას.

კარგად ითამაშეს საქართველოს წარგზავნილებმაც — მ. სანაძემ და ც. კახაბრიშვილმა. პირველმა მოუგო როოტარეს, ყაიმზე შეუთანხმდა ი. ლევიტინას (ლენინგრადი) და გადადო პარტია ტ. ზატულოვსკაიასთან (ბაქო). მეორემ სძლია უკრაინის ჩემპიონს თ. მოროზოვას და ორი პარტია (უშაკოვასთან და სემიონოვასთან) გადადო.

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ჭიათურის აუზში გაიმართა აფხაზეთის, ქუთაისისა და ჭიათურის მოცურავეთა პირველი მატჩი, რომელიც ამიერიდან ტრადიციად იქცევა. შეჯიბრების მიზანი იყო ძალთა შემოწმება საქართველოს სპარტაკიადისთვის. მწვრთნელის ვ. ანანოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისმა შრომამ ნაყოფი გამოიღო — ჭიათურელმა მოცურავეებმა მეტოქეები დაამარცხეს: მასპინძლებმა 169 ქულა დააგროვეს და 3 ქულით აჯობეს აფხაზეთის სპორტსმენებს. ქუთაისელები ტურნირში სუსტად გამოვიდნენ და III ადგილს დასჯერდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. ოჩხიკაძის წარმატება. მან 100 მეტრზე ბრასით ცურვაში ჭიათურის ახალი რეკორდი (1. 12,9) დაამყარა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. ამავე სტილით 200 მეტრზე ცურვაში I თანრიგის ნორმატივი შეასრულა ლ. ლეტუნსკაიამ —3.07,0. ესეც ჭიათურის ახალი რეკორდია. მასპინძლებიდან თავი გამოიჩინეს, აგრეთვე, ელენე ნებიერიძემ (800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში), მისმა ძმამ ვიქტორმა, რომელმაც 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვა მოიგო. ბ. გრიგორიევმა ყველას აჯობა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, 200, 400 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში.

აფხაზეთის სპორტსმენთაგან აღსანიშნავია ო. კოზირიევა, რომელმაც აფხაზეთის 4 ახალი რეკორდი დაამყარა. იგი საუკეთესო იყო 100 მ ბატერფლაით, 200 მ კომპლექსურ, 200 და 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში.

ე. ძაბანაძე.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲖᲔ: ე. ნებიერიძე ასპარეზობის შემდეგ.

ა. გურასაშვილის ფოტო.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲝᲡᲢᲐᲢᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲝ

რიგა, 4 დეკემბერი. სსრ კავშირის ვაჟთა 38-ე საჭადრაკო ჩემპიონატის VI ტურში ლ. შტეინმა (კიევი) მნიშვნელოვანი ქულა შეიძინა ი. ავერბახთან (მოსკოვი) მოგებით. ახალგაზრდა ვ. ტუმაკოვმა (ოდესა) ზედიზედ მესამე დიდოსტატი (ი. პლატონოვი) დაამარცხა და ლიდერობაც შეინარჩუნა.

ნამდვილი სენსაციაა მოსკოველი დიდოსტატის რ. ხოლმოვის ზედიზედ მესამე წაგება. ამჯერად მას ვ. ბაგიროვმა (ბაქო) მოუგო. ვ. ლიბერზონმა (მოსკოვი) დაამარცხა მ. ცეიტლინი (ლენინგრადი).

ყაიმს დასჯერდნენ ა. კარპოვი (ლენინგრადი) და ო. მოისეევი (მოსკოვი), ვ. კარასიოვი და ვ. კორჩნოი (ორივე — ლენინგრადი), მ. პოდგაეცი (ოდესა) და ვ. სავონი (ხარკოვი). სხვა პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას შტეინმა დაამარცხა ლიბერზონი და კარასიოვი, ა. გიპსლისმა (რიგა) — ი. ბალაშოვი და ი. ზაიცევი (ორივე — მოსკოვი), ვ. დოროშკევიჩმა (გროზნო) — ზაიცევი, პოდგაეცმა — დოროშკევიჩი, მიკენასმა — ო. დემენტიევი (კალინინგრადი). ყაიმით დამთავრდა ცეიტლინ — კარპოვის, მოისეევ — სავონის, ავერბახ — ტუმაკოვის, ბალაშოვ — ანტოშინისა და ავერბახ — ვ. მიკენასის (ვილნიუსი) შეხვედრები.

6 ტურის შემდეგ ტუმაკოვს 5 ქულა აქვს, შტეინს — 4,5, გიპსლისს — 4 (1), ბაგიროვს, დოროშკევიჩს, კორჩნოის, პოდგაეცს — 4-4.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ



ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში I ადგილი ქულათა თანაბარი რაოდენობით დაიკავა 3 გუნდმა: ზესტაფონის „მეტალურგმა", სამტრედიის „ლოკომოტივმა" და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა.

ჩემპიონის გამოსავლენად ამ 3-გუნდს შორის გორში ჩატარდება სპეციალური ტურნირი. 6 დეკემბერს ერთმანეთს შეხვდებიან სამტრედიის „ლოკომოტივი" და ზესტაფონის „მეტალურგი", 8 დეკემბერს ითამაშებენ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და ზესტაფონის „მეტალურგი", ხოლო 10 დეკემბერს — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და სამტრედიის „ლოკომოტივი".

თამაშები დაიწყება 14 საათზე.



ᲡᲝᲮᲣᲛᲘ

„დინამოს" სტადიონზე შედგა ფინალური მატჩი ფეხბურთში გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" თასზე.

გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვეს სოხუმის „დინამოსა" და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის გუნდებმა. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

შ. ჯალაღონია.

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ

ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. მარღანიას სახელობის თასზე.

შეჯიბრება კარგად ჩაატარეს ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოიპოვეს ვეტერანის სახელობის თასი.

დ. გურგენიძე.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ

საინტერესოდ მიმდინარეობდა „გუნთიადის" ჭიათურის საქალაქო საბჭოს თასის გათამაშება ფეხბურთში.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დიმიტროვისა და კალინინის სახ. მაღაროთა ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები. დამატებითი დროის მიუხედავად მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. საჭირო გახდა 11-მეტრიანი დარტყმების შესრულება ორივე კარში, რამაც გამარჯვება მოუტანა კალინინის სახელობის მაღაროს გუნდს.

ზ. ჩხეიძე.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ

დამთავრდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში, სადაც მონაწილეობდა 16 კოლექტივი.

წარმატებით ჩაატარეს შეჯიბრება სოფ. ნაფაღაურის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა, რომლებმაც შეძლეს I ადგილის დაკავება. II ადგილზეა იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი.

გათამაშებაში დანიშნული იყო სპეციალური პრიზები საუკეთესო მაჩვენებლებისთვის, რომლებიც გადაეცათ ცალკეულ გუნდებსა და მოთამაშეებს.

ჯ. ვაშაკიძე.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ჩვენს რესპუბლიკას მესამე გაცურვის შემდეგ შეემატა კიდევ ერთი ახალი ოსტატი — მ. ალავერდაშვილი („განთიადი"). მან III ადგილი მოიპოვა 1000 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში (3.57,9). — საქართველოს ნიჩბოსნებიდან სპორტის ოსტატის შედეგები აჩვენეს, აგრეთვე, ჰ. ვიშნიაკოვმა, კ. ბაზელკომ (ორივე — ასკ) და ვ. ტურკოვსკაიამ (სოხუმის „დინამო"). მაგრამ ზემოჩამოთვლილ სპორტსმენებს ეს წოდება არ მიენიჭებათ, რადგან იმ სახეობებში, რომლებშიც ისინი გამოდიოდნენ რვაზე ნაკლები მონაწილე აღმოჩნდა— გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა.

ერთადგილიანი კანოეებით მოსასპარეზე ვ. მაკაროვმა (საქართველო, „ბურევესტნიკი") პირველობა დაუდევრობის გამო დაკარგა. იგი სტარტისკენ გულდამშვიდებით მიემართებოდა. მესტარტემ, რა თქმა უნდა, არ დაუცადა და ასპარეზობის დაწყების ნიშანი დროზე მისცა. მაკაროვმა გამეტებით მოუსვა ნიჩაბს, სტარტს კი მიუსწრო, მაგრამ ბრძოლაში უკვე დაღლილი ჩანდა. ნახევარი დისტანციის შემდეგ გუნდს გამოეყვნენ ქვეყნის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რ. ნაგირნი (უკრაინა) და სსრ კავშირის ნაკრების ფევრი, სპორტის ოსტატი მ. ლობანოვი (ტაჯიკეთი). როდესაც ფინიშამდე 150 მეტრი დარჩა, მათ მაკაროვიც წამოეწია, მაგრამ შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უკანასკნელს დაღლა შეეტყო და დიდი გაჭირვებით გავიდა III ადგილზე (4.25,2).

სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. სილაევს ვთხოვეთ გამოეთქვა აზრი ახალი ბაზის, საქართველოს ნიჩბოსნებისა და საბჭოთა ნაკრების წლევანდელ შედეგებზე:

— ჩვენს ნაკრებს წლეულს არც ერთი საერთაშორისო შეხვედრა არ წაუგია. დანიაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი კი ტრიუმფით დავამთავრეთ. მოვიგეთ გუნდური პირველობა, ხოლო პირად ასპარეზობაში 8 ოქროს მედალი დავისაკუთრეთ. ასეთი წარმატება მსოფლიოს არც ერთ გუნდს არ ახსოვს. განსაკუთრებით სასიხარულო იყო მედლები ოთხადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე შეჯიბრებაში. საქმე ისაა, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ ჩვენი კვარტეტი პირველ ადგილზე არც ერთ ტურნირში არ გასულა.

რამდენიმე წელია ჩვენი კანოისტები, რომლებიც ტრადიციულად ძლიერნი არიან, თანდათან აუარესებენ შედეგებს. ამიტომ რიონზე გამართულ შეჯიბრებაში, ცხადია, ყველაზე მეტად მათს გამოსვლას ვაკვირდებოდი. მომეწონა მაკაროვ—სირიას და ხოფერია—ჩარაევის ეკიპაჟები. ამ ახალგაზრდა, პერსპექტიულმა სპორტსმენებმა წინ მხოლოდ ქვეყნის ნაკრების ერთი ეკიპაჟი გაუშვეს და ორს დიდი უპირატესობით აჯობეს კიდეც.

იმისთვის, რომ თქვენმა რესპუბლიკამ სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ნიჩბოსნობის ისეთ ცენტრებს, როგორიცაა მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, მინსკი, ტაგანროგი, საჭირო ვარჯიშის კარგი ორგანიზაცია და მეტი შრომისმოყვარეობა.

თქვენმა სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებით გული არ უნდა დაიშვიდონ, რადგან ქვეყნის ნაკრების წევრები ახლა გარდამავალ პერიოდში არიან და ჯერ თავიანთი შესაძლებლობა სრულად არ გამოუვლენიათ. ამასთან, შეჯიბრებაში ქვეყნის ყველა უძლიერესი სპორტსმენი როდი გამოდიოდა.

რაც შეეხება ახალ ბაზას, იგი იშვიათი და თანამედროვეა. მაგრამ აღჭურვილობა აკლია. სხვამხრივ ელინგი ნიჩბოსნობის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, ამასთან, ზამთრობით საგარჯიშოდ უკეთესი ბაზა არ მოგვეპოვება და ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ნიჩბოსნები ხშირად შეამოწმებენ აქ თავიანთ ძალებს.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: მარჯვნივ — ფოთის ახალი ბაზის ხედი; მარცხნივ — ორადგილიანი ბაიდარები დისტანციაზე.

ავტორის ფოტო.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ. ᲑᲐᲘᲓᲐᲠᲐ. 500 მ. ერთადგილიანი. ნ. ბოიკო (რსფსრ) — 2.04,5, გ. ბეზრუჩენკო (ბელორუსია) — 2.05,7, ტურკოვსკაია — 2.09,9; **ორადგილიანი.** გ. გრიშინა-ნ. სტეპანოვა (ლენინგრადი) — 2.02,5, ფ. ვასილიევა (ლენინგრადი)-ტურკოვსკაია—2.05,8, ბოიკო-ს. გერასიმენკო (ასკ, საქართველო) — 2.35,0.

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ. ᲑᲐᲘᲓᲐᲠᲐ. ერთადგილიანი. 500 მ. ვ. პოლიაკოვი — 1.43,9, ვ. ჩემეზო (ორივე — რსფსრ) — 1.44,4, ა. შოკალო (ბელორუსია)— 1.45,0; **1000 მ.** ვ. ობრაზცოვი (ყაზახეთი) — 3.40,0, ო. კორპენკოვი (ლენინგრადი) — 3.48,2, ალავერდაშვილი — 3.57,9; **ᲝᲠᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲘᲓᲐᲠᲐ. 500 მ.** ა. კობრისეევი (უკრაინა)-ალავერდაშვილი — 2.04,1, კრატასიუკი-ა. ივანოვი („ვოდნიკი", საქართველო)—2.05,0, ვიშნიაკოვი-ბაზელკო — 2.05,6; **1000 მ.** გორბაჩევი-კლიმოვი (ყაზახეთი) — 3.34,1, ქოიავა-პიატაკოვი — 3.34,9, კრატასიუკი-ზაბოლოტცკი — 3.35,8; **ᲝᲗᲮᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲘᲓᲐᲠᲐ. 1000 მ.** ვ. ზუიკოვი, მ. ფეოდოროიდი (ორივე — ლენინგრადი), ვიშნიაკოვი, ბაზელკო — 3.14,0, გორბაჩევი, კრატასიუკი, ზაბოლოტცკი, ივანოვი — 3. 19,2, ხ. ცხოვრებოვი („ლოკომოტივი"— საქართველო), პიატაკოვი, ქოიავა, თ. ბერიშვილი („დინამო", სოხუმი) —3. 20,0; **ᲔᲠᲗᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲔ. 1000 მ.** ნაგირნი — 4.21,0, ლობანოვი — 4. 22,0, მაკაროვი—4.25,2; **ᲝᲠᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲔ. 1000 მ.** ლობანოვი-პანკოვი (ტაჯიკეთი) — 3.56,4, მაკაროვი-სირია — 3.59,0, ხოფერია-ჩარაევი — 3.59,9.

სპორტული დეკემბერი

ზამთრის პირველი თვე განსაკუთრებით დაძაბული იქნება მოჭადრაკეებისთვის. სწორედ დეკემბერში გაირკვევა სსრ კავშირის ჩემპიონთა ვინაობა ქალთა და ვაჟთა შორის. ესპანეთის საკურორტო ქალაქ პალმა დე მალიორკაში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები შეჯიბრებას დაამთავრებენ. მათ შორის ექვსი საუკეთესო მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან და ვ. კორჩნოისთან ერთად მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკის მეტოქეობისთვის იბრძოლებს.

და მაინც, ეს თვე უმთავრესად ზამთრის სახეობების წარმომადგენლებისთვის იქნება განსაკუთრებით საინტერესო. ჰოკეისტები, მოთხილამურეები, მოციგურაველები, ფიგურული სრიალის ოსტატები მრავალ შეჯიბრებას გამართავენ მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენების მონაწილეობით. გულხელდაკრეფილი არც სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლები იქნებიან. ასე რომ, სპორტის მოყვარულთ ბევრი საინტერესო ასპარეზობა ელით.

გთავაზობთ უმთავრეს შეჯიბრებებს.

ველოსპორტი

5. სსრ კავშირის ჩემპიონატი კროსში (ადლერი).

ქალათბურთი

8—13. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის. „ა“ კლასის I ჯგუფი. I წრე. I ტური (კაუნასი, დნეპროპეტროვსკი).

21—27. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის. „ა“ კლასის I ჯგუფი. I წრე. II ტური (ლენინგრადი).

კრივი

9—13. საერთაშორისო შეჯიბრება 9 ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობით (მინსკი).

მაგიდის ჩოგბურთი

11—12. სსრ კავშირის თასის ფინალი (მოსკოვი).

სათხილამურო სპორტი

20—21. საკავშირო შეჯიბრება ორჭიდში (ლენინგრადი).

29. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას“ პრიზზე (მოსკოვი).

საციგაო სპორტი

25—28. საკავშირო შეჯიბრება (ლენინგრადი).

ტანვარჯიში

5—13. საერთაშორისო შეჯიბრება (იაპონია).

24—26. საერთაშორისო შეჯიბრება იუნიორთა შორის (ტალინი).

ტრამპლინიდან ხტომა

21—23. საკავშირო შეჯიბრება (გორკი).

ფარიკაობა

5—14. სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკთა და გოგონათა შორის ორ ასაკობრივ ჯგუფად (სმოლენსკი).

ფიგურული ციგურაობა

16—20. საერთაშორისო შეჯიბრება (მოსკოვი).

შაში

5—11. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის (ტალინი).

5—22. სსრ კავშირის ჩემპიონატი ვაჟთა შორის (ლიეპაია).

ძალოსნობა

22—26. სსრ კავშირის თასი (დნეპროპეტროვსკი).

ბადრაკი

5—21. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის (ბელცი).

5—28. სსრ კავშირის ჩემპიონატი ვაჟთა შორის (რიგა).

ხელბურთი

8—13. საერთაშორისო შეჯიბრება ვაჟთა შორის გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე (თბილისი).

ჰოკეი

6. სსრ კავშირის თასის ოცდამეთორმეტედფინალები.

6—11. საერთაშორისო შეჯიბრება იუნიორთა შორის (ფინეთი).

6—13. საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „იზვესტიას“ პრიზზე (მოსკოვი).

6—14. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (რუმინეთი).

11. სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალები.

13—20. საერთაშორისო შეჯიბრება საკლუბო გუნდებს შორის ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენთა მონაწილეობით (ნოვოსიბირსკი).

17—23. საერთაშორისო შეჯიბრება — „დუნაის თასი“ (კიევი).

ბიბლიოთეკა

პრემიერა

თბილისი. სპორტის სასახლე. 3 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი)—„ბურევესტნიკი“ (თბილისი) 98:87 (50.39). მსაჯები: თ. ქიქოძე, კ. კალანდაძე. დუბლიორები — 89.80 (39.37).

ძნელია ამ მატჩის მიხედვით იმსჯელო გუნდების ღირსებებზე ან ნაკლოვანებებზე. ძნელია იმდენად, რამდენადაც ახალ სეზონში „ბურევესტნიკის“ წინაშე ახალი ძალით დაისვა ცენტრალური თავდამსხმელის საკითხი, პრობლემა, ურომლისოდაც თანამედროვე კალათბურთში რაიმე, ოდნავ შესამჩნევ წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. „ბურევესტნიკი“ არასდროს გამოირჩეოდა მაღალი ტანის კალათბურთელთა სიჭარბით, მაგრამ ახლა, როცა გუნდს რეალურად ემუქრება უმაღლესი ლიგიდან განდევნის საშიშროება, პრობლემამ ორმაგად მწვავე ხასიათი მიიღო.

საკმარისია გადავხედოთ XXXVIII ჩემპიონატის პირველ მატჩებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ბრძოლა გაცილებით მწვავე იქნება სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარში, ვიდრე ზემოთ, სადაც სპრინზო ადგილები განაწილდება. ამ სიმძაფრის მაგალითები უკვე ჩანს: მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივმა ძნელ ბრძოლაში სძლია „კალევს“, ხოლო ვეფ-მა პირველი მარცხი აგემა „ჟალგირისს“. მსგავსი სიურპრიზები, დარწმუნებული ვართ, მომავალშიც იქნება, მაგრამ არა გვგონია, მათ რაიმე სარგებლობა მოუტანონ „ბურევესტნიკს“. პირიქით, ყოველი ასეთი სიურპრიზი შესამჩნევად დააშორებს ჩვენს გუნდს სანუკვარ IX ადგილს.

რაც შეეხება „დინამოს“, იგი ოპტიმიზმის საფუძველს უთუოდ გვაძლევს. გუნდში აშკარად იგრძნობა ტენდენცია შემადგენლობის სტაბილიზაციისკენ და, რაც ყველაზე მთავარია, მონდომება.

გუშინწინდელ მატჩში მძაფრი ბრძოლის მოწმენი მხოლოდ პირველ ნახევარში ვიყავით. „ბურევესტნიკის“ ძირითადი ხუთეული (გლურჯიძე, ალთაბაევი, ბიჭიაშვილი, პულავსკი, ჩსიკვაძე) მონდომებითა და თავგამოდებით თამაშობდა, თუმცა ორივე ფარი მას აშკარად წაგებული ჰქონდა. მაგრამ გავიდა დრო და ჯარიმების რიცხვი გამრავლდა. ამან თავისებური დაღი დასვა თამაშის ხასიათს და გუნდიც იძულებული გახდა ინიციატივა დაეთმო.

„დინამო“ მეთოდურად აძლიერებდა იერიშის სიმწვავეს და ყოველმხრივ ბოჭავდა მეტოქის სამოქმედო ასპარეზს. ამასთან, მას შემადგენლობის ფართო მანევრირების საშუალება ჰქონდა. ახალმა, დასვენებულმა ძალებმა ბრძოლის სურათი მკვეთრად შეცვალა და, რაც მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყდა (იყო მომენტი, „დინამოს“ ანგარიში მთელი 20 ქულით მიჰყავდა) ხუთეულში წამყვანი როლი მთლიანად ახალგაზრდებმა ითავეს.

ამ დღეს სნაიპერული სროლით თავი გამოიჩინეს: „დინამოში“ — მოსეშვილმა (25 ქულა), „ბურევესტნიკში“ — პულავსკიმ (24 ქულა).

ნ. გუგუშვილი.

სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი

ლიდერებმა ადგილები შეცვალეს

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის კიდევ 2 მატჩი.

მოსკოვი. გათამაშების ლიდერმა „სტროიტელმა“ ბოლოს და ბოლოს დატოვა თავისი ქალაქი და ორკვირიან ტურნეს შეუდგა. უკრაინელთა სასტარტო წარმატებებმა უფლება მოგვცა გვფიქრა, რომ გუნდი არა მარტო ფიზიკურად, მორალურადაც მზად იყო მძიმე ბრძოლებისთვის. მაგრამ პირველსავე სერიოზულ გამოცდაზე მან წაიბორძიკა. მოსკოვის „დინამომ“, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გაანადგურა ლიდერი — 82:63.

რა არის ეს? შემთხვევითი მარცხი, ერთგვარი სიურპრიზი, თუ კანონზომიერება? ვფიქრობთ, უფრო მეორე. როგორც ჩანს, ჩვენს კალათბურთში ჯერ კიდევ არის და ერთ ხანს იარსებებს ე. წ. საკუთარი და უცხო მოედნის პრობლემა. სხვაგვარად ვერ ახსნიმას, რომ „სტროიტელი“ შინ თვით ჩემპიონსაც კი უგებს, სტუმრად კი ასე უმოწყალოდ დამარცხდა.

კიდევ ერთი გარემოება: სერიოზულად თუ ჩავუკვირდებით „სტროიტელის“ პირველ მატჩებს, თვალში გეცემათ, რომ სამივეჯერ გუნდი, ფაქტიურად, ერთი და იმავე შემადგენლობით თამაშობდა. ასეთი რამ არასდროს არ არის კარგი ცხოვრებით გამოწვეული. ცხადია, 7 კალათბურთელი მძიმე ტურნირს ბოლომდე ვერ გაუძლებს და ეს უნდა იყოს, ჩვენის აზრით, უკრაინელთა მთავარი საზრუნავი.

ლენინგრადი. ნევისპირელებმა დამაჯერებლად მოუგეს კიევის არმიელებს — 68:55. ამ შედეგმა სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარი ერთგვარად გადაახალისა. „სტროიტელმა“ თავისი პირველი მარცხის შემდეგ ადგილი დაუთმო „სპარტაკს“, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	4	3	1	262—227	3
ცსკა	4	3	1	286—264	3
„სტროიტელი“ (კიევი)	4	3	1	276—262	3
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	3	2	1	244—224	2
„დინამო“ (მოსკოვი)	4	2	2	330—313	2
ვეფ (რიგა)	4	2	2	310—305	2
„დინამო“ (თბილისი)	3	2	1	266—262	2
„კალევი“ (ტარტუ)	4	1	3	272—285	1
ასკ (რიგა)	3	1	2	199—213	1
ასკ (კიევი)	4	1	3	260—292	1
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	4	1	3	295—329	1
რტი (მინსკი)	3	1	2	175—199	1

კალათბურთი

მუჰამედ ალის მეორე ნაბიჯი ანუ კრივი ლექსად

7 დეკემბერს ნიუ-იორკის უდიდესი სპორტული დარბაზის „მედისონ სკვერ გარდენის“ რინგზე კვლავ გამოვა მუჰამედ ალი, რომელმაც ოქტომბერში ატლანტაში დაამარცხა თავისი თანამემამულე ჯერი ქვორი. ახლა ალის მეტოქე იქნება არგენტინელი ოსკარ ბონავენა.

...ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი პროფესიონალთა შორის მუჰამედ ალი თვითონ დაეძებდა ღირსეულ მეტოქეს. მაგრამ, იმ სამ წელიწადში, როცა მუჰამედ ალი პოლიტიკოსთა წყალობით სპორტისგან ჩამოშორებული იყო, მოკრივე პროფესიონალთა ახალი თაობა გამოვიდა სარბიელზე. მათ სწყურიათ ლეგენდარულ ჩემპიონთან შეხვედრა. თითოეულმა მათგანმა იცის, რომ მისი სახელი ისტორიაში შეიძლება შევიდეს, თუკი პირველი დაამარცხებს მუჰამედ ალის.

შეხვედრის წინ ალისა და ბონავენას შორის თავისებური ფსიქოლოგიური დუელია გაჩაღებული. პროფესიული რინგის დაუწერელი კანონების მიხედვით ცალ-ცალკე ორივე მოკრივე საქვეყნოდ აცხადებს, არა მე გავიმარჯვებ და არა მეო.

არგენტინელის „გუნდმა“ უჩვეულო სარეკლამო ტრიუკს მიმართა. ერთ-ერთი მისი სპარინგ-პარტნიორი რაულ გოროსიტო ჰოსპიტალში აღმოჩნდა. ბონავენას მენეჯერმა განაცხადა, რომ არგენტინელმა მოკრივემ თავისი მეტოქე მძლავრი დარტყმებით გამოიყვანა მწყობრიდან.

„მედისონ სკვერ გარდენში“ ერთსაათიანი წვრთნის შემდეგ მუჰამედ ალი რინგის ცენტრში დადგა და ოფლად გახვითქულმა იქ მყოფ ჟურნალისტებსა და მაყურებლებს წაუკითხა ლექსი მომავალ ორთაბრძოლაზე. არსებითად, ეს მატჩის სცენარი იყო. მუჰამედ ალი სამი რაუნდის მანძილზე დაზვერვის ჩატარებას აპირებს, მეოთხე და მეხუთე რაუნდებში იერიშზე გადავა, მეშვიდეში ბონავენას რინგზე „ააცეკვებს“, მერვე რაუნდში კი თავში დაუშენს მუშტებს. ყველაფერი მეცხრე რაუნდში დამთავრდება (ბონავენამ თავის მხრივ განაცხადა, რომ ალის მეთერთმეტე რაუნდში დაამარცხებს)...

სპარინგ-პარტნიორთან ორთაბრძოლის დროს მუჰამედ ალი რიგის იატაკზე აღმოჩნდა. მეისვე აჩხაკუნდა ფოტოაპარატები, მაგრამ მომღიმარი ალი მაშინვე წამოხტა და განაცხადა: „ზოგიერთები ოცნებობენ, რომ ოდესმე იატაკზე ასე მიხილონ. აი, როგორი ვიქნებოდი მაშინ. თქვენ ამ წარმოდგენას ამიერიდან ველარასოდეს ნახავთ“.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რატომ აირჩია მეტოქედ ალიმ მაინცდამაინც ბონავენა, რომელიც დიდი გამძლეობითა და ფიზიკური ძალით გამოირჩევა. „მსოფლიოს ჩემპიონს არავინ უნდა აშინებდეს, — თქვა ალიმ. — ჩემპიონი ყველა მეტოქესთან თანაბრად უნდა იბრძოდეს. იგი ფულზე და შემოსავალზე არ უნდა ფიქრობდეს. ჩემთვის ყველაზე ძლიერი მეტოქე ჯერი ქვორი იყო. იგი ბონავენაზე ძლიერიც არის და ჭკვიანიც. არგენტინელი, რასაკვირველია, ამბობს, რომ გამარჯვება სწყურია, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი უხეში კაცია და მეტი არაფერი. ბონავენამ შავი კენგურუ მიწოდა. ამისთვის იგი სასტიკად დაისჯება“.

ვ. ვლადიმიროვი.

სკვერი გარდენი

• KORANA • ФУТБОЛ • ФЕХБУРТИ • LABDARUGAS •

ძნელია, თუ რივა არ იქნება

ლაშავებული რივას გარეშე მძიმე პრობლემის წინაშე დადგა იტალიის ფეხბურთელთა ნაკრები. უჭირს „კალიარისაც“, რომელსაც საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ მაინც „ერთი კაცის გუნდს“ უწოდებენ. მან უკვე დატოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება და ეროვნულ პირველობაზეც თანდათან იუარესებს მდგომარეობას (რივას დაშავებამდე „კალიარი“ იტალიის ჩემპიონატში I ადგილზე იყო).

რივას გარეშე „კალიარის“ უყვე ალარავინ მიიჩნევს ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტად. მიიჩნიათ, რომ ძირითადი ბრძოლა ჩემპიონობისთვის „ნაპოლისა“ და „მილანს“ შორის გაიმართება.

ჟილმარი მძიმედ დაშავდა

ქ. სანტოსის საავადმყოფოში მეტად მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს ცნობილი მეკარე ჟილმარი, რომელსაც, როგორც ცნობილია, 2 ოქროს მედალი აქვს მიღებული მსოფლიოს 1958 და 1962 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში. ხახდაზმული ასაკის მიუხედავად ჟილმარი უკანასკნელ ხანებამდე განაგრძობდა თამაშს „სანტოსში“.

ჟილმარს დაუშვებელი სისწრაფით მიჰყავდა თავისი მსუბუქი მანქანა და საბარგო ავტომანქანას შეეჯახა.

მზადებაც ასეთი უნდა

როგორც ბერლინის გაზეთ „დოიჩეს შპორტეხოს“ კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება 8 მილიონი მარკა (გერმანულ ფულზე გადაყვანით) დაჯდა.

ფედერაციის წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან საუბარში თქვა, რომ ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება ფაქტიურად 1967 წელს დაიწყო და ამ პროგრამით 52 საერთაშორისო მატჩი ითამაშა.

არმიელთა კარგი სტარტი

მოსკოვი, 3 დეკემბერი. მოსკოვის ცსკა-ს კალათბურთელმა ევროპის ჩემპიონთა თასის ახალ გათამაშებაში ჩინებულად აიღეს სტარტი. მერვედფინალში მათი მეტოქე იყო ბუდაპეშტის „ჰონვედი“. თამაში დაიწყო თუ არა, სტუმრები რამდენიმე ქულით დაწინაურდნენ. ამაში მათ თვით არმიელები დაეხმარნენ, რომლებმაც რამდენიმე შეცდომა დაუშვეს და ამით საშუალება მისცეს უნგრელებს 3 შედეგიანი ტყორცნა განხორციელებინათ.

როცა არმიელ ვ. ანდრეევს მხარში ამოუდგა მეორე გოლიათი ა. ჟარმუხამედოვი, მასპინძლების საქმე კარგად წავიდა, უკვე მე-12 წუთზე ანგარიში გათანაბრდა. ამის შემდეგ ცსკა-ს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია და მატჩიც დიდი ანგარიშით მოიგო — 102:75 (47:39). არმიელებიდან ყველაზე შედეგიანი იყო ანდრეევი — 35 ქულა, სტუმრებიდან — ვ. ბანა —22.

ამ ტურნირში ევროპის 27 გუნდმა აიღო სტარტი. ამჟამად ბრძოლას განაგრძობს მხოლოდ 16 კოლექტივი. თუ არმიელები 10 დეკემბერს კვლავ მოიგებენ ბუდაპეშტის საპასუხო მატჩს, მაშინ ისინი მეოთხედფინალში ავლენ, სადაც მატჩები ჩატარდება ორ ქვეჯგუფში წრიული სისტემით. ფინალური შეხვედრა 8 აპრილს გაიმართება.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 8 დეკემბერს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 უე 04514